



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 47
18/07/2018

47-06-4-201807181729



განკარგულება №47

18 ივლისი 2018 წელი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, 86-ე მუხლის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 120-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის ტიპური ფორმა, თანახმად დანართისა.
2. კონტროლი აღნიშნულ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.
3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ღურჯუმელიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო